



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 16 ივლისის ბრძანება №221

ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 16 ივლისის №221 ბრძანების შესაბამისად, ცვლილებები შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების („ბრძანება“) 22¹ მუხლში.

აღნიშნული ცვლილებებით შემოღებულ იქნა ახალი ტერმინი „სავარაუდო დარიცხვა“. კერძოდ, საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილი არიან, საგადასახადო შემოწმების გარეშე განახორციელონ სავარაუდო დარიცხვა მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი რომ: ა) გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე განხორციელდა გადასახადის თანხის უსაფუძვლო შემცირება; ბ) პირს წარმოეშვა საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვალდებულება და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ წარადგინა საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (ავტომატური დეკლარირება).

დამატებით, 51-ე მუხლს დაემატა მე-4, მე-6 პუნქტები, რაც უფლებამოსულებს ანიჭებს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს შეუჩეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ელექტრონული ფორმით გამოწერის/დადასტურების უფლება ან/და პირს უარი უთხრას აღნიშნული დოკუმენტების მატერიალური ფორმით გაცემაზე თუ უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების ნიშნები გამოვლინდა ან შესაბამისი საგამომიებო ორგანო დააყენებს შესაბამის მოთხოვნას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 28 ივნისის საჯარო გადაწყვეტილება №201

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2019 წლის 28 ივნისის საჯარო გადაწყვეტილებაში №201 განმარტება გააკეთა კრიპტოაქტივის და მის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის თაობაზე. საჯარო გადაწყვეტილებით, სამინისტრომ იმსჯელა შემდეგ საკითხებზე: ა) კრიპტოაქტივის მიწოდების დღგ-ით დაბეგვრა (ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაზე გაცვლის ოპერაციები); ბ) კრიპტოაქტივის მიწოდების შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსავლის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა; და გ) კრიპტოაქტივის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის და აღნიშნული მიწოდების ოპერაციის განსახორციელებლად შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე დღგ-ის თანხის ჩათვლა;

განმარტების თანახმად საქართველოს ფინანსთა მინისტრმა იხელმძღვანელა ევროპის ცენტრალური ბანკის 2015 წლის თებერვალში გამოქვეყნებული ანგარიშით და კრიპტოაქტივი გააიგივა ფულთან და შესაბამისად მიანიჭა იგივე საგადასახადო პრივილეგიები, რითაც სარგებლობს ფულზე საკუთრების უფლების გადაცემა, მათ შორის დღგ-ით დაუბეგრავ ოპერაციად აღიარება.

ამასთან, საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლის ანალიზის შედეგად, სამინისტრომ განმარტა, რომ კრიპტოვალუტის მიწოდება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლის არც ერთ კატეგორიას არ მიეკუთვნება, ამიტომ არ წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტს.

სამინისტრომ კრიპტოაქტივის მოსაპოვებლად გამოთვლილი სიჩქარის მიწოდება მიაკუთვნა ელექტრონულად გაწეულ მომსახურებას. საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, ელექტრონულად გაწეული მომსახურებას ასევე განეკუთვნება ელექტრონული გზით გაწეული მომსახურება, თუ სახეზეა ყველა შემდეგი პირობა: ა) მომსახურების გაწევა ხდება ინტერნეტით ან ელექტრონული ქსელით; ბ) მომსახურების გაწევა ძირითადად ავტომატურად ხდება და ადამიანის მინიმალურ ჩარევას გულისხმობს; გ) მომსახურების გაწევა შეუძლებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების გარეშე.

განმარტების მიხედვით, თუ ელექტრონულად გაწეული მომსახურების მიმღები წარმოადგენს საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ პირს, საქართველოში არ გააჩნია მართვის ადგილი ან მუდმივი დაწესებულება, რომელსაც უშუალოდ უკავშირდება მიღებული მომსახურება, მაშინ დღგ-ის მიზნებისთვის, კრიპტოაქტივის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაცია (ელექტრონულად გაწეული მომსახურება) ჩაითვლება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გაწეულად და არ დაექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას. ასევე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ აღნიშნული მომსახურების გასაწევად შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე ჩათვლის დოკუმენტების მიხედვით გადახდილი ან გადასახდელი დღგ-ის თანხა ექვემდებარება ჩათვლას.

თუ ელექტრონულად გაწეული მომსახურების მიმღები წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ პირს ან საქართველოში გააჩნია მართვის ადგილი ან მუდმივი დაწესებულება, რომელსაც უშუალოდ უკავშირდება მიღებული მომსახურება, მაშინ დღგ-ის მიზნებისთვის, კრიპტოაქტივის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაცია (ელექტრონულად გაწეული მომსახურება) ჩაითვლება საქართველოს ტერიტორიაზე გაწეულად და განიხილება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად. ამასთანავე, აღნიშნული მომსახურების გასაწევად შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილი დღგ-ის თანხა ან დღგ-ის გადასახადები, რომლებიც გადასახდელია ჩათვლის დოკუმენტების მიხედვით დაექვემდებარება ჩათვლას.

სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ადვოკატის ჰონორარის ანაზღაურების წესთან დაკავშირებით (საქმე №ას-1161-1116-2016). სასამართლოს მიერ გადასაწყვეტ მთავარ საკითხს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რა წესით აუნაზღაურდებოდა ადვოკატის გასამრჯელო, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ სამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით. კერძოდ, სასამართლოს უნდა განესაზღვრა ეს საზღაური, თავისი არსით, ჰონორარი იყო თუ წარმატების ჰონორარი (დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაში). გადასახდელი გასამრჯელო ერთი ხელშეკრულების მიხედვით მოგებული თანხის 4%-ით განისაზღვრებოდა, ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში - დავის საგნის ღირებულების 4%-ით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საადვოკატო მომსახურების ჰონორარის (გასამრჯელოს) ოდენობის შესახებ რაიმე მოწესრიგებას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი ან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი არ შეიცავს. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილება იმის გათვალისწინებით, რომ მაგალითად, ევროგაერთიანების ადვოკატთა (CCBE) ქცევის მოდელური კოდექსი, რომელიც სახელმძღვანელოა ევროგაერთიანებისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის ადვოკატთათვის, აწესრიგებს ჰონორარის საკითხს. კერძოდ, 3.4 პუნქტით დადგენილია, რომ „3.4.1. ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი სრულად უნდა გაუმჯღავნდეს კლიენტს და უნდა იყოს სამართლიანი და ზომიერი; და 3.4.2. პუნქტით განსაზღვრულია რომ „ადვოკატსა და კლიენტს შორის სხვაგვარი შეთანხმების არსებობის გარდა, ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი ექვემდებარება რეგულირებას იმ ადვოკატურისა თუ იურიდიული საზოგადოების წესების შესაბამისად, რომელსაც ადვოკატი მიეკუთვნება. თუ ის მიეკუთვნება ერთზე მეტ კოლეგიას ან იურიდიულ საზოგადოებას, მაშინ ის წესები უნდა იყოს გამოყენებული, რომლებიც ყველაზე ახლოს არის ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან. საკასაციო სასამართლომ ისევ ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.3 მუხლი მოიხმო, რომელიც უკრძალავს ადვოკატს აწარმოოს ე.წ. Pactum Quota de Litis (3.3.1 ქვეპუნქტი), რაც ნიშნავს: „შეთანხმებას ადვოკატსა და კლიენტს შორის, რომელიც დადებულია იმ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, რომელშიც კლიენტი ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს და რომლის საფუძველზე კლიენტი იღებს ვალდებულებას ადვოკატს გადასცეს წილი საქმის შედეგიდან, მიუხედავად იმისა, ეს წილი თანხას თუ სხვა სარგებელს წარმოადგენს, რომელსაც კლიენტი საქმის გადაწყვეტისას მიიღებს“.

ამდენად, სასამართლოს განმარტებით, Pactum Quota de Litis არ მოიცავს შეთანხმებას, რომლის თანახმად, ჰონორარი გამოიანგარიშება ადვოკატის მიერ აღებული საქმის ღირებულების საფუძველზე, ოფიციალურად დამტკიცებული ჰონორარების სისტემის ან იმ კომპეტენტური ორგანოს მიხედვით, რომლის იურისდიქციის კონტროლის ქვეშ იმყოფება ადვოკატი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეები ადვოკატის გასამრჯელოზე (მომსახურების საზღაურზე) შეთანხმდნენ და არა წარმატების ჰონორარზე.

საკასაციო სასამართლომ, მხარეთა ხელშეკრულების შესაბამისი დებულების გონივრულობასთან დაკავშირებით მსჯელობის შედეგად, რომელიც დავის საგნის ღირებულების 4%-ის ოდენობით ადვოკატის ჰონორარს ეხებოდა, მხარეთა შეთანხმება არაგონივრულად მიიჩნია, რადგან ზედა ზღვრის დაწესების გარეშე, ასეთი შეთანხმების არსებობას შეიძლება ნებისმიერი მხარისათვის უსამართლო შედეგები გამოეწვია. კერძოდ, შესაძლებელია საქმე გვექონდეს ისეთ ვითარებასთან, რომ მარწმუნებელს ადვოკატისთვის იმაზე მეტი თანხის გადახდის ვალდებულება წარმოეშვას (განსახილველ შემთხვევაში, დავის საგნის ღირებულების 4%), ვიდრე სასამართლოს მიერ მისთვის საბოლოოდ დაკისრებული/მიღებული ოდენობა იქნებოდა (რამდენადაც ჰონორარის ოდენობა დაკავშირებული იქნებოდა დავის საგნის ღირებულებასთან).

საბოლოოდ, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ხელშეკრულების მხარეებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული ბოლომდე ჰონორარის გადახდის წესები, რადგან, სასამართლოს განმარტებით, შეუძლებელია, ადვოკატის ინტერესებში შედიოდეს კლიენტის მოწინააღმდეგე მხარისგან ამოღებულ თანხას დაუკავშირდეს ჰონორარის გადახდის საკითხი.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 286 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.